

**მსოფლიო ბანკი საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის  
შენარჩუნებაში დაეხმარება**

ვაშინგტონი, 26 მარტი, 2020 - მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ საქართველოში „ეკონომიკური მართვისა და კონკურენტუნარიანობის განვითარების პოლიტიკის ღონისძიებებისთვის“ 45 მილიონი ევროს ოდენობის დაფინანსება დაამტკიცა. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში მიმდინარე რეფორმების განხორციელებას ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის მნიშვნელოვან სფეროებში. ის ასევე, დაეხმარება ქვეყანას შეამსუბუქოს COVID-19 პანდემიის ეკონომიკური გავლენა.

პროექტის ამოცანა იმ რეფორმების ხელშეწყობაა, რომლებიც სამუშაო ადგილების შექმნის, ეკონომიკური ინკლუზიურობის ზრდისა და მედეგობის შენარჩუნებისკენაა მიმართული. კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფო რესურსების გამოყენების ეფექტურობის გაუმჯობესებაზე; კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე; უფრო კონკურენტული ბაზრების ხელშეწყობაზე; ფინანსური სექტორის დივერსიფიკაციაზე; მასწავლებლის მუშაობისა და ანაზღაურების გაუმჯობესებაზე; და ინვესტიციების ხელშეწყობის გაძლიერებაზე.

*„ეს პროექტი ხელს უწყობს ქვეყნის გადაწყვეტილებას შეინარჩუნოს სტაბილური მაკრო-ეკონომიკური გარემო და განახორციელოს სტრუქტურული რეფორმები“, - განაცხადა მსოფლიო ბანკის რეგიონალურმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიის რეგიონში სებასტიან მოლინეუსმა. „ეკონომიკური მართვის გაუმჯობესება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება კი დაეხმარება საქართველოს ეკონომიკის გაძლიერებაში, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებასა და ასევე, COVID-19- ის პანდემიის დასრულების შემდეგ ეკონომიკის სწრაფ აღდგენაში.“*

„განვითარების პოლიტიკის ღონისძიებები“ შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2020 წლის სტრატეგიასთან და ასევე, მსოფლიო ბანკის საქართველოსთან თანამშრომლობის 2019-2022 წლების ჩარჩო დოკუმენტთან.

საქართველოში მსოფლიო ბანკის ჯგუფის საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ვებგვერდს: <http://www.worldbank.org/en/country/georgia>

შემოგვიერთდით Facebook-ზე: <https://www.facebook.com/WorldBankEuropeCentralAsia>

**საკონტაქტო პირები:**

ვაშინგტონში: სონა ფანაჯიანი, +1 (202) 473 9751, [spanajyan@worldbank.org](mailto:spanajyan@worldbank.org)

თბილისში: ირმა გეგეჩკორი, (+ 995 32) 2296 246, (+995 599) 167 719, [igegechkori@worldbank.org](mailto:igegechkori@worldbank.org)